№ 111 მაისი 30, ოთხშაბათი 1890 მაისი 30, ოთხშაბათი № 111

# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 **სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1890

## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:

ქართული-რუსული

**ლექსიკონი**

დ. ჩუბინაშვილისა

ფასი 2 მან.

სრული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ

ახლად დაარსებულ

«ქართველთა ამხანაგობის»

წიგნის მაღაზიაში

(ლორის მელიქოვის ქუჩა)

**დაბადება და აღზრდა**

**მეფე ერეკლესი**

ლეგენდა ლექსად ბარნასი

ფასი 15 კაპ.

(6—2)

## ახალი ამბავი

*** 28 მაისს მორიგი კრება ჰქონდა ქალაქის საბჭოს. კრებაზე განხილული იყო, სხვათა შორის, საჩივარი ვერის ზემო უბნელებისა. ამ უბნელებმა ჯერ ქალაქის გამგეობასა სთხოვეს—გაასწორეთ და მოკირწყლეთ ქუჩებიო, დაგვიდგით ფარნები და დაგვიყენეთ პოლიციელებიო. გამგეობამ უარი უთხრა უფულობისაგამო. ამაზედ ვერის ზემო უბნელებმა უჩივლეს ქალაქის თვით-მმართველობას მთავარ-მართებელთან, რომლის ბძანებითაც საჩივარი უნდა განეხილა საბჭოს. საბჭომ მოისმინა ეს საჩივარი და დაადგინა—რადგანაც ქუჩების გაყვანისა და მოკირწყვლის შესახებ ისეთი წესია შემოღებული, რომ თავდაპირველ ყოველივე ხარჯი უნდა გასწიონ ხოლმე სახლის პატრონებმა და საქმის დასაწყისამდე ნახევარი ფული მაინც უნდა შემოიტანონ ქალაქის კასსაში და რადგანაც ეს ხარჯი არ გასწიეს მომჩივრებმა, ამიტომ შეუძლებელია მათის საჩივრის დაკმაყოფილებაო.

*** კვირას, ამ თთვის 27, რუსეთის საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოების ტფილისის განყოფილების სამუსიკო სასწავლებელში გამოცდილ იქმნენ მუსიკის მოსწავლენი, რომელთაც ამ წელს დაასრულეს სწავლა ამ სასწავლებელში. წელს სამუსიკო სასწავლებელში დაუსრულებია კურსი ხუთ მოსწავლესა.

*** ამას წინად ტერ-ასატუროვის სახლში მძიმედ დასჭრეს დანით გულში ტფილისის მოქალაქე ვასილ წოვიანოვი. დამჭრელის სახელი სოსოა, მხოლოდ გვარი-კი მისი არ იციოდნენ, რადგანაც დაჭრის შემდეგ სოსო გაიქცა და დაიმალა. ახლა პოლიციამ უკვე გაიგო გვარი სოსოსი, რომელიც ელიაშვილი ყოფილა და შეიპყრო კიდეც.

*** კისლოვოდსკიდგან ჩამოსულნი გვიამბობენ, რომ მადნის წყლები, რომელნიც სეტყვისა და წვიმის დროს შლამმა წალეკა, ახლა უკვე გამოჩენილა იმავე ალაგებში, სახელდობრ „ნარზას“ გალლერეიაში, მხოლოდ ახლა ცოტათი მღვრივე ამოდის და ისეთი სისუფთავე არა აქვს, როგორც წინად. კისლოვოდსკს იმ ორ დღეში, როდესაც დიდი სეტყვა და ნიაღვარი ყოფილა, 30,000 მანათზე მეტი ზარალი მოსვლია.

*** გუშინ, ამ თთვის 29, ტფილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში დაიწყო მისაღები ეგზამენები იმათი, რომელთაც ჰსურთ პირველ კლასში იქმნან მიღებულნი.

*** ამ თთვის 27 ბათუმისაკენ გაემგზავრა კომმისია, ინჟინერ ა. ნ. პუჩეჩნიკოვის თავ-მდგომარეობით. ამ კომმისიამ უნდა დაათვალიეროს ბათუმის, ფოთის და ქუთაისის რკინის გზის ლიანდაგი და გაიგოს სამერმისოდ რამდენი მოუნდება რკინის გზის შეკეთებას და ზოგიერთ გვირაბის გადაკეთებას, რადგანაც ბათუმსა და ბაქოს შუა აპირობენ მეორე რკინის გზის ლიანდაგის გაყვანას.

*** ამ დღეებში ჩვენა ვნახეთ ბ-ნ ზ. ჩხიკვაძისაგან ოცამდისინ ნოტებად დაწყობილი რთული ხალხური ხმები. ამ ხმებისთვის ავტორს დაურქმევია «სამშობლო სალამური» და განუზრახავს დასაბეჭდად სამუსიკო წიგნის მაღაზიის პატრონისთვის ტფილისში ბ-ნ ჩეტვერუხინისთვის. ჯერ-ჯერობით ჩეტვერუხინი აპირებს დაბეჭდვას მარტო შვიდის ხმისას. აი ის ხმებიც: „ჩარი რამა“, „მე ვარ და ჩემი ნაბადი“, „წინანდული“, «ვინ იმერელი», „ნანა, შვილო, ნანინა“, „ია მთაზედაო“ და „ჰოი შაველეგო“.

*** გუშინდელმა ბაქოდამ მომავალმა მატარებელმა თითქმის სამი საათი დაიგვიანა. მიზეზი დაგვიანებისა ყოფილა გზის წახდენა ევლახს აქედამ წვიმებისა და ნიაღვრების გამო.

*** თითქმის ყველგან ყურადღება მიიპყრო ერთგვარმა მცენარემ, რომელსაც ჯუთი ჰქვიან. ჯუთისაგან აკეთებენ თოკებს, ტომრებს, ნავების იალქნებს, ხოლო კანაფსა, სელსა და ბამბასთან შერეულისაგან-კი უფრო წმინდა და ნაზი ნაქსოვები გამოდის. ჯუთი მრავლად მოდის ინდუსტანში. საზოგადოდ უყვარს ნამიანი და ცხელი ქვეყანა. როგორც „Русскія Вѣдомости“ ამბობს, მთელს რუსეთში ფრიად მცირედ არის გავრცელებული წარმოება ამ მეტად სასარგებლო მცენარისა. ორიოდე წელი იქნება, რაც ჯუთის თესლი მთავრობამ დაურიგა ერევნის გუბერნიის მცხოვრებლებს და დაათესვინა. ჯერ არავინ იცის, რა გამოვა ამ ცდიდამ. ხოლო იმავე გაზეთში ნათქვამია, რომ ერევნის გუბერნიაზე უფრო უხვად ჯუთი მოვა იმერეთშიო, რადგან ამ ქვეყნის მიწაც უფრო ნამიანია და ჰავაც უფრო ცხელი, მინამ ერევნისაო. ჯუთი კარგად იხეირებს აგრეთვე საინგილოში და საზოგადოდ იმისთანა ადგილებში, სადაც ჩალთუქი ითესება. დესიატინა ადგილზე ითესება $1^1/_2$—2 ფუთი თესლი. შემოდის ჯუთი 12—15 კვირაზე. იზრდება 10—20 ციდა სიმაღლით. დესიატინა იძლევა 150—200 ფ. კანს და 75—100 ფ. თესლს. ამერიკაში ჯუთის ტომრები უფრო ძვირად ისყიდება, მინამ სელისა და კანაფისა.

*** სიღნაღთ: ჩვენი სიღნაღი ძალიან დაქვეითდა ყველა საქმეში. ვაჭრობა ძლიერ უფერულია, ასე რომ დღეში ხუთასის თუმნის პატრონი ხუთს მანათს ძლივს ივაჭრებს. სხედან ნოქრები და სთვლიან ბუზებს. ამ ნოქრების ბატონებს კიდევ ბოლმისაგან სძინავთ. „ღმერთი თავის გაჩენილს არ დაჰკარგავსო“, ნათქვამია და ეს ჩვენი ვაჭრებიც ჯერ-ჯერობით გულს არ იტეხენ, იქნება ოდესმე ბედმა გაგვიღიმოსო, ნამეტნავად წელს კარგს მოსავალს მოელიან აქეთ სოფლელლები. ზემოდ ნახსენები ვაქებიც, რასაკვირველია, დაამზადებენ

# ფელეტონი

## მეფე ერეკლე

(თეიმურაზისა და ერეკლეს ოჯახის ამბავი)

ერეკლეს მამა თეიმურაზ II იყო. თეიმურაზის დაბადების წელი ნამდვილად არ ვიცით რომელია. ხოლო თუ მივიღებთ მხედველობაში ანტონ კათოლიკოსის სიტყვებს, რომ „როდესაც მე ვიყავ შვიდის წლისა, მაშინ თეიმურაზი იყო 27 წლის ჭაბუკიო (იხ. ანტონის სამძიმრის წერილი დედოფალ ანახანუმისადმი, ივერია 1879 წ. № 7—8 გვ. 112) და აგრეთვე იმასაც, რომ ანტონი დაბადებულა 1720 წელს (იხ. მთვარელიშვილის წერილი, „ივერია“ 1879 წ. № 9—10, გვ. 42), მაშინ ცხადად დავინახავთ, რომ თეიმურაზი დაბადებულა 1700 წელს. მამა თეიმურაზისა იყო კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის შვილის შვილი ივანეყულიხან. ვახუშტის სიტყვით, თეიმურაზს ცოლი შეურთავს 1712 წელს, მაშასადამე 12 წლისას. (ქართ. ცხოვ. გვ. 252). თეიმურაზის ცოლი იყო ვახტანგ მეექვსის ქალი თამარ. ვახუშტი ამბობს, რომ ვახტანგმა „ფებერვალში (1712 წ.) ქორწილი უყო თეიმურაზს თვის ქალ თამარზე და ვახუშტი აბაშიძეს თვის ქალ ანუკაზედ და წარვიდა ისპაანს აპრილის კგ“-სო.

თამარისაგან თეიმურაზს მიეცა ვაჟიშვილი ერეკლე. ომან მდივანბეგის ჩვენებით ერეკლე დაბადებულა 1718 წელს, ხოლო ბუტკოვის თქმით 8 გიორგობისთვეს, 1721 წელს (სხვა ადგილას ბუტკოვი ერეკლეს დაბადების წლად აღიარებს 1720 წელს), გენერალ პოტემკინის ჩვენებით ერეკლე დაბადებულა 1722 წელს.

თამარს დიდი გავლენა ჰქონდა ქართლ-კახეთის შეერთების საქმეში. იგი იყო ქართლის მეფის ვახტანგის ასული და ვახტანგის შთამომავლობაკი ითვლებოდა ამ სამეფოს კანონიერ მემკვიდრედ და მარადის ეძიებდა ისევ ქართლში დამკვიდრებას. რადგან თამარი იყო ასული ვახტანგისა და, მაშასადამე, ერთი მემკვიდრეთაგანი ქართლის სამეფოისა, ამიტომაც კახეთის დედოფლობის ჟამს ადვილად მოახერხა, რომ ქართლის დედოფლადაც იგი ეღიარებინათ. ასრეც მოჰხდა. თამარს დიდი ზედ გავლენა ჰქონდა ქართლის სამეფოზედ და მის პატრონ-მეფედაც ითვლებოდა (ერთის წლის განმავლობაში). ამ ამბავს ეთანხმება თვით ბუტკოვის მოწმობაც. ბუტკოვი ამბობს, რომ თეიმურაზს, თამარის გარდაცვალების შემდეგ, ყეენი, ცოტა არ იყოს, შემოსწყრა და ბრძანაო: „ქართლი თეიმურაზს-კი არ მიეცი, არამედ თამარსაო“.

საყურადღებოა ქართლში გაბატონებულ თამარის თელავიდამ ქალაქში ჩამობრძანების ამბავი. პაპუნა ორბელიანი ამბობს (ქართ. ცხოვ. ტ. II, გვ. 371), რომ დედოფლის დასახლომელად ქალაქში მეფემ დააყენა თვისი სიძე, მანდატურთ-უხუცესი (ორბელიანი). ამასთანავე კახეთს გაგზავნა დარბაისელნი და სამღვდელონი დასნი, ეპისკოპოსნი დედოფლის ჩამოსაბძანებლადაო. მანდატურთ-უხუცესმა მოამზადნა და მოაფარდაგინა სარაია საყოფელნი. კვალად განაწესნა მოქალაქენი ანუ დასნი სამღვდელონი: რომელნიმე მიმგებელ და შემსხმელ ქებათა, რომელნიმე შლად ფეინდაზთა, მიმრთმეველ შაქარ-საყნოსელთა და რომელნიმე იყვნეს ცდად მეჯლიშისთა.—ჩამობრძანდა დედოფალი; ძე თვისი სასურველი ერეკლე თან-ჩამოჰყვა ჯარითა კახეთისათა, ეგრევე თან იახლა ბატონიშვილი ანტონი (შემდეგ კათალიკოსი)...გაეგებნენ სამღვდელონი ერთა გუნდნი და დედათა ბანაკნი. შეასხეს ქება და მადლობდეს ღმერთსა, „ვინა გამოგვიჩინა ხსნად ჩვენდა ქრისტეულთაო და გვიხსნა მტერთაგან ჩვენთაო“.—შემობრძანდა ქალაქში და დაბრძანდა ტახტსა ზედა დედისა თვისისა რუსუდან დედოფლისა (ეხ იყო ჩერქეზთ ბატონის ასული, მეუღლე ვახტანგ მეექვსისა). მიეგებნენ დარბაისელთა ჯალაბნი, დაულოცეს ტახტი და დაიდვეს ნადიმი. შეიქმნა მეჯლიში. და იყო ლხინი, განცხრომა უზომო“.

ბუტკოვის თქმით, თამარი ქართლის პატრონად შეიქმნა 1741-სა თუ 1742 წელსაო. ამასთანავე თამარმა ქართლის თავადიშვილობას შეჰფიცა, რომ თეიმურაზი ქართლის მმართველობაში მონაწილეობას არ მიიღებსო: თვის სიკვდილის წინად თამარმა დაიყოლია ქართლელნი, რომ თეიმურაზი აღიარონ ქართლის მეფედაო და ქართლელნიც დათანხმდნენო. (ტ. III, გვ. 79—80).

ამ გვარად თამარის გავლენით თეიმურაზი შეიქმნა მეფედ ქართლისა. ნადირმაც თავის მხრით ქართლის ტახტი დაუმტკიცა 1744 წელს, ხოლო კახეთის მეფობა-კი მისცა ერეკლეს. ამასთანავე ყეენმა თეიმურაზს ნება დართო დაგვირგვინებულიყო.

მანამ ვიტყოდეთ თეიმურაზის დაგვირგვინების ამბავს, საჭიროდ ვსთვლით აქვე ორიოდე ბიოგრაფიული ცნობა მოვიყვანოთ ერეკლეს შესახებ.

როგორც უკვე ვსთქვით, ერეკლე ჯერ 15 წლისა იყო, რომ ქიზიყის ომში მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა მტრებზე. მის შემდეგ ერეკლე ლაშქარსა და საომრო სარბიელს არ მოშორებია.

ერეკლე სამ გზის იყო შეუღლებული. პირველი მისი ცოლი იყო ვახტანგ ყაფლანიშვილის ასული ქეთევან. მაგრამ რაღაც მიზეზების გამო, როგორც ამბობს პლ. იოსელიანი (იხ. ცხოვრება მეფე გიორგი მე-XIII-ისა), ერეკლე ქეთევანს გაჰყრია. ქეთევანი მონაზონებაში აღესრულაო და დაიმარხა ალავერდის ტაძარში. მის საფლავის ქვაზედ აწერია: „კახთ მეფის თანა-მეცხედრე, დედოფალი ქეთევან მდებარე ვიქმენ მეფეთა სამარხსა ამას შინა, რათა საცნაურად იხილვებოდეს ტაგრუცი ესე და მრავალთა მიერ შენდობა წარმოითხრობოდეს. ქორონიკონსა ულზ“ (1750).

ამის შემდეგ ერეკლემ შეირთო (1746 წ. 10 ნოემბერს) ზაალ აბაშიძის ქალი, „მშვენიერი და შემკული ყოვლითა ბრწყინვალებითა“ ანნა. პაპუნა სწერს, რომ ეს ქორწინება მოახდინა ვახტანგ მეფის სიძემ და თეიმურაზის ქვისლმა ვახუშტ აბაშიძემა და მისმა მეუღლე ანუკა ბატონიშვილმაო, ერეკლეს დეიდამაო. ქალი გადმოიყვანეს იმერეთიდამ ქვიშხეთს, ვახუშტი აბაშიძისას, ე. ი. ზაალის ძმისასაო, ერეკლეც ვახუშტს ეწვია და ჯვარი დაიწერა. ქორწილი გადუხადა თვით ვახუშტმაო. ორი დღე ლხინნადიმობაში იყვნენ და მერე სურამს ჩამოვიდნენო.

არ ვიცით, ერეკლეს ქეთევანისაგან შვილი მისცემია, თუ არა. ხოლო ის-კი სჩანს, რომ ანნასაგან ერეკლეს ჰყოლია ვაჟი გიორგი და ასული თამარ. ქეთევანი აღესრულა 6 ქრისტეშობისთვეს 1749 წელს. წარსულის საუკუნის მოგზაური გიულდენშტეტი

დამპალ დუმპალ ფართალს და დიდროან ჩანახებს. უწმინდურობა და უსუფთაობა ჩვენის ქალაქისა დიდია და საარაკო: ქუჩები ნაგვითა და ჩეჩქით არის სავსე, სუნი ავი ტრიალებს და არ ვიცით, რა ღმერთი გვწყალობს კიდევ, რომ გადამდები და მოარული ავადმყოფობა არა ჩნდება-რა, მერე ახლა, როცა უკვე დაიწყო სიცხეები. სალამობით-კი თითქმის ყოველთვის მოდის წვიმა. მოსავალი ალაგ-ალაგ მშვენიერია, ალაგ-ალაგ ორთა-შუა, ქერები ძლიერ კარგია, ბალახსაც არა უჭირს-რა. ვენახებს კარგი პირი უჩანს, თუ ბოლომდის თავი გაიტანა და ნაცარმა, მილდიომ და სეტყვამ არ შეაწუხა.

*** იქიდამვე: ამას წინად ჩვენს ქალაქში ერთი უბედურება მოხდა. შემთხვევით მოიწამლნენ უვარგისის სოკოთი ცოლ-ქმარნი თ. ა—ი თავის ცოლით. ცოლი მეორე დღესვე გარდაიცვალა.

*** აბაშა (სამეგრელო): ამ მცირე ხანში ჩვენი აბაშა დიდი სავაჭრო ადგილი შეიქმნა. ახლა აქ არის 150-მდე დუქანი. ვაჭართა რიცხვი ბლომად არის. აქაურს ვაჭრებს უნდათ, რომ კვირა-უქმე დღეს დაიკეტოს ხოლმე დუქნები, რათა ვაჭარ კაცს ამისთანა დღეში მაინც შეეძლოს წირვა-ლოცვის მოსმენა, მაგრამ დღემდე ეს მათი სურვილი არ იქნა და ვერ შესრულდა. კარგი იქნება, რომ მიაქციოს ამ გარემოებას თავისი ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს.

*** ერნესტო როსსის, როცა ადესაში იყო, ხონთქარი დიდს ჯილდოს დაჰპირებია, თუ სტამბოლში მოხვალო. მაგრამ როსსიმ თავის სიტყვას მაინც არ უმტყუნა და, როგორც ნათქვამი ჰქონდა, პირდაპირ ტფილისს ეწვია (ახ. მიმ.)

*** მაისის 28, დილით, სპარსეთის ქვეშევრდომმა სტრატი-იანი-ჩაკირ-ოღლიმ გამოაცხადა, რომ მაისის 25 ჩემმა ამხანაგმა ბერძენთა ქვეშევრდომმა კონსტანტინე სპილიადმა ყუთი გამიტეხა და მომპარა 250 მან. და ბათუმში წავიდაო. ქურდს დაეძებენ. გამოძიება სწარმოებს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ტოლა (რაჭის მაზრა), 30 აპრილი. როგორც საღმრთო წერილი გვაუწყებს, თომა, ქრისტეს ერთი ათორმეტ მოწაფეთაგანი, მეტად ურწმუნო კაცი ყოფილა. რასაც საკუთარის თვალით არა ნახავდა, არას იწმუნებდა თურმე. მაცხოვარის მკვდრეთით აღდგომას-კი აქვის თვალით შეხედა ამ საოცარმა კაცმა და სთქვა: „უკეთუ არა ვიხილო თვალითა ჩემითა სახე მისი, და დავსდვა ხელი ჩემი გვერდსა მისსა, არა სადა მრწმენესო.“ დიახ, საანდაზოდ გადაიქცა თომას ურწმუნოება, მაგრამ იმას ერთი კარგი თვისებაც ჰქონდა: თუ-კი იხილავდა, მტკიცედ იწმუნებდა და ამ რწმენას არასოდეს აღარ გადუდგებოდა. სულ სხვანი არიან ჩვენის დროის ურწმუნო თომანი. ამათ არც ნაამბობი და არც თავიანთის საკუთარის თვალით ნახული არა სწამთ და ყველა, რაც-კი სწავლა მეცნიერებას მოუღვაწნია კაცთა ცხოვრების ასაღორძინებლად და წარსამატებლად, ყველა ოცნებად მიაჩნიათ, რაც უნდა თვალ-საჩინო საბუთი აჩვენონ სწავლულთა სწავლა-მეცნიერების ძლევა-მოსილობისა ამ ურწმუნო თომებს, მაინც არა სწამთ-რა და შორს უვლიან, განზედ უდგებიან ყოველს ახალს მოვლენას, ყოველს ნაკვლევს სწავლა-მეცნიერებისას. ეს რომ ასეა, სამწუხაროდ ამის დასამტკიცებელი ამბავი მრავალია, მაგრამ მე მხოლოდ ერთს მოვიყვან.

დღეს ყველას, ვისაც-კი გონების თვალი ცოტათი მაინც უჭრის, ცხადადა აქვს დანახული, რომ ვენახს გაუჩნდა რაღაც არა ჩვეულებრივი სენი და ეს საუკეთესო ნაყოფის მძლეველი და ღვთისაგან ნაკურთხი მცენარე ისე დაასუსტა და გაათახსირა, რომ მეათედს ნაწილსაც ეღარ იძლევა იმისას, რასაც ამ ხუთი-ექვსი წლის წინად იძლეოდა დღიური ვენახი. ამას გარდა საკმაო საბუთითა და მაგალითით დამტკიცებულია ისიც, რომ სწავლულმა აგრონომებმა გამოიკვლიეს, აღმოაჩინეს სხვა-და-სხვა გამანადგურებელი სენი ვაზისა და ისეთი წამალიც შეურჩიეს, რომლის შემწეობითაც შესაძლოა მასთან ბრძოლა და მისი დაძლევა. ჩვენის დროის თომები, მოსმენას გარდა, თავისის თვალით ჰხედავენ ყველა ამას, მაგრამ გული და გონება მაინც ვერ დაუჯერებიათ და ურწმუნო თომასავით თავს იქნევენ უარის ნიშნად. მტკიცედ სდგანან იმ აზრზედ, რომ ვენახების დასნეულება ღვთის ნება და სურვილი არის და მის წინააღმდეგ ადამიანთა ჭკუა-გონებას არავითარის ღონისძიების მოპოვება არ შეუძლიანო. რასაც გვეუბნებიან ამ საგნის შესახებ და რასაც ვხედავთ, სულ ყველაფერი თვალთ-მაქცობაა და ამ თვალთ-მაქცობით მხოლოდ ის სურთ, რომ ფულები დაგვაცინცლონ, თორემ ვაზის ქიმობა ვის გაუგონია, ადამიანი ხომ არ არის, რომ სტკიოდეს რამეო, და სხვ...

მთელს რაჭის მაზრაში საუკეთესო ღირსების ღვინო ორს სოფელში მოდის—ტოლასა და ხვანჭკარაში, ამ სოფლების ღვინო მეტად განირჩევა ყოველ გვარის ღირსებით დანარჩენ კუთხეების ღვინოებისაგან. ამასთან ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ამ სოფლების მკვიდრის გლეხის თუ თავად-აზნაურის ცხოვრების უმთავრესი სახსარი ისევ ვენახის მოსავალი ღვინოა, რომელიც კარგ ფასად იყიდება ამ მდგომარეობაში ვართ, აშკარადა ვხედავთ იმ სამწუხარო ამბავს, რომ ეს ერთად ერთი და მთავარი ძარღვი ჩვენის ეკონომიურის მძლეობისა თანდათან გვისუსტდება, გვიხმება და ჰქლამის მთლად განადგურებას, მაგრამ არც ერთს მემამულეს ჩვენში აქამდის არ უზრუნია, რომ გაგონილითა და ნახულით ისარგებლოს, დაისმაროს სწავლა-მეცნიერებისაგან გამოკვლეული და ნაცადი საშუალებანი, უწამლოს თავის მასაზრდოებელს მცენარეს და აიცილოს თავიდგან მოსალოდნელი უბედურება. თვით შრომასა და მეცადინეობაზედ რაღა გვეთქმის, როდესაც ჩვენდა უმეცადინოდ კარზედ მოსულს მკურნალსაც არ ვუხვდებით შესაფერად, არას ვუჯერებთ და ნებას არ ვაძლევთ, წამალი დასდოს ჩვენს იარას.

აი ამის დამამტკიცებელი მაგალითიც: ამ თვის 12 ს ხვანჭკარის საზოგადოებაში ბრძანდებოდა ბ-ნი მაზრის უფროსი ქავთარაძე და ვენახის წამლობის მცოდნე აგრონომი ბ-ნი ყიფიანი, ამათ მოიწვიეს ამ საზოგადოების მკვიდრნი სასოფლო სასამართლოს სადგურზედ და გამოუცხადეს კრებას, რომ ვინც-კი თავის ვენახს რაიმე სნეულებას ატყობს, ამ თვითვე მიიღოს ღონის ძიება და უწამლოსო. ბ-ნმა ყიფიანმა ქცევა ვენახზედ მოითხოვა თორმეტი მანათი წამლისა და წამლობის შრომის ჯილდოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმით მამულები ას ქცევას არ აღემატება, და თუ აღემატა, მაშინ უფრო ნაკლებად დაგიჯდებათო. დამსწრე საზოგადოების უმრავლესი ნაწილი არ დასთანხმდა და უარი განუცხადა. ამის შემდეგ ბ-ნმა აგრონომმა განუცხადა საზოგადოებას, რომ თუ ფული გენანებათ და ან ფიქრობთ, რომ ფული ტყუილად დაგეკარგებათ და ვენახს ვერ მოარჩენ, მაშ ამ პირობაზედ დამთანხმდით: დასნეულებულ მამულების პატრონებმა ნახევარი დასტოვეთ უწამლოდ, ნახევარს ჩემის ხარჯით ვუწამლებ და თუ ნაწამლ ნაწილში ერთი ორად მეტი მოვიდა, მოსავლის ნახევარი ჩემი იყოსო; მაშინ ხომ დარწმუნდებით, ვენახს უხდება წამლობა, თუ არაო. სამწუხაროდ, ურწმუნო თომები და მათი ამყოლი ხალხი არც ამ პირობაზედ დასთანხმებულან. მხოლოდ თთ. ყიფიანები და ორიოდე შეგნებული კაცი გამხდარა თანახმა. ამ გვარად ჯერ-ჯერობით ჩვენში ურწმუნოებამ თავისი გაიტანა და შემდეგ რა ბედი მოელის ჩვენს ვენახებს, ეგ ღმერთმა უწყის.

ერთი ამბავი კიდევ. ძველს დროში, როდესაც ვერცხლის-მოყვარეობა და ანგარება სინიდისსა და პატიოსნებას ჰქონდა დამონავებული, ამისთანა ამბავი თითქმის ყოველ დღიური მოვლენა იყო და, რასაკვირველია, საგაზეთო ამბავთა შორისაც ადგილი არა ჰქონდა, მაგრამ ახლა-კი, როდესაც ფულის შეძენის ინტერესმა სინიდისსაც ლაგამი ამოსდო და პატიოსნებასაც, უდგილოდ არ მიმაჩნია განვუზიარო მკითხველს ერთი ფრიად სასიამოვნო ამბავი. ერთმა ღარიბმა გლეხმა დათა კიბაბიძემ გაჭირვების გამო კალოდ აიღო ორმოცი მანათი თავში თუმანი ორ აბაზად ერთის თავის ნაცნობისაგან, მორიგების შემდეგ ღვინოც დალია და გაემგზავრა სახლისაკენ. საბრალო კიბაბიძეს ღვინო ცოტა მეტი მოსვლოდა და გზაში ისე დაჰკარგოდა ქისა სესხად აღებულ ორმოცის მანათიანთურთ, რომ მეორე დღემდის ვერაფერი ვერ გაეგო. მეორე დილას-კი, როდესაც გამოფხიზლებულა და მოუსვამს ჯიბეზედ ხელი, შეუტყვია, რომ ფული აღარა აქვს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ტანჯვა-ვაებაში ჩავარდებოდა საბრალო გლეხი. მამა-სისხლად კალოდ აღებული ფული დაჰკარგა, ვერც გაჭირვებას დასდო წამალი და ერთს გაჭირვებას კიდევ მეორე დაამატა. მთელის ოჯახობით მიეცა ტირილსა და გოდებას, მაგრამ ტირილი აბა რას უშველიდა. იმავე დღეს, რა დღესაც კიბაბიძეს ფული დაეკარგა, იმავე გზაზედ გაიარა თურმე ერთმა პირველზედ არა ნაკლებ ღარიბმა გლეხმა, ნესტორ გორდეზიანმა, ჰპოვა ქისა და აიღო. მოგეხსენებათ, ამისთანა ღატაკ გლეხს ორმოცის მანათის პოვნა დიდ ღვთის წყალობად უნდა ჩაეთვალა და მიემალა, მაგრამ გორდეზიანი ასე არ მოიქცა და შეუბღალავმა სინიდისმა სხვა გვარ ამხილა: მეორე დღესვე გამოაცხადა ხალხში, რომ ამა და ამ ალაგას გზაში ვიპოვნე ქისა, რომელშიაც ორმოცი მანათი იყო, და ვისაც დაეკარგა, მოვიდეს ჩემთან და მიიღოს თავისი ფულიო. ამ ხმამ მიაწია მწუხარე კიბაბიძემდისაც, რომელიც გაეშურა გორდეზიანთან იმ იმედით, რომ იქნება მადლი ჰქმნას და

---

ამბობს, რომ 1772 წელს ერეკლეს შვილი გიორგი 28 წლისა იყოო, ხოლო მეორე შვილი ლევანი 20 წლისაო, იულონი 12 წლისა, ვახტანგი 10 წლისა, თეიმურაზი (შემდეგ კათოლიკოსი ანტონ) 8 წ., მირიანი 7 წ., ალექსანდრე 2 წ. და ლუარსაბი $\frac{1}{2}$ წლისაო. ამ რიცხვებს რომ დავაკვირდეთ, გამოდის, რომ გიორგი დაბადებულა 1744 წელს., ე. ი. მაშინ, როდესაც ერეკლეს ანნა ჯერ არ მოეყვანა ცოლად. გარდა ამისა ბუტკოვი ამბობს, რომ ანნა აბაშიძისაგან ერეკლეს ჰყვანდა შვილი გიორგი, მაგრამ ამ გიორგიზე უფროსი ვაჟები ერეკლეს ჰყვანდა კიდევ ვახტანგი და ლევანიო (ტ.II გვ. 156). სხვა ადგილას იგივე ბუტკოვი ამბობს, რომ ლევანი იყო უფროსი ვაჟი ერეკლესიო (ტ. I, გვ.228).

თუ მივიღებთ მხედველობაში ბუტკოვის ჩვენებას, უნდა ვიფიქროთ, რომ ლევანი და ვახტანგი ერეკლეს მისცემია პირველის მეუღლის ქეთევანისაგან, ან და მეორე ცოლი ანნა ერეკლეს 1746 წელზედაც ადრე შეურთავს და მასთან ჯერ მისცემია ლევანი და ვახტანგი და მერე გიორგი.

მაგრამ ჩვენ დარწმუნებულად ვიცით, რომ ერეკლეს მეორე ქორწინება მომხდარა 1746 წ. მაშ საიდგან წარმოსდგა ეს არევ-დარევა აზრებისა შესახებ ბატონიშვილთა. ამ ამბის ახსნას ჩვენ ვპოებთ პ. იოსელიანის „მეფე გიორგის ცხოვრებაში“ (გვ.203). პლატონი სწერს, რომ ერეკლეს პირმშო ძე იყო ვახტანგიო, რომელიც დაიბადა პირველის ცოლისაგანაო. ვახტანგს შერთეს მუხრან-ბატონის კონსტანტინეს ასული ქეთევან. ეს ქალი ჯერ სამის წლისა ყოფილა, როდესაც დაუნიშნავთ ვახტანგზე. ქეთევანს ზრდიდა ერეკლეს დედა თამარიო და როდესაც ქეთევანი შეიქმნა 13 წლისა და ვახტანგი 16 წლისა, ჯვარი გადასწერესო. მაგრამ ჯვარის წერის წელსვე ყვავილმა თან გადიტანა ვახტანგი. ერეკლე დიდ მწუხარებას მიეცა. თეიმურაზი ისე შეწუხდა, რომ ვახტანგის კუბოს თავი დაჰკრა და გაიტეხა. ვახტანგი მცხეთას დაასაფლავეს. ქეთევან ქვრივად დარჩა და მერე, როდესაც ერეკლეს მესამე ცოლისაგან ვაჟი მიეცა, ქვრივ ქეთევანის თხოვნით, ახალ-დაბადებულს ვახტანგი უწოდეს. ქეთევანმა იშვილა ეს ვახტანგი (ალმასხან) და სცხოვრებდა მასთან. 1803 ალმასხანი და ქეთევან რუსეთს წავიდნენ და იქვე 1808 წელს ქეთევანი ჰლექმა გარდიტანაო.

ამ სახით გამოდის, რომ ერეკლეს ორი ვახტანგი ჰყოლია: ერთი პირველის ცოლისაგან და მეორე მესამისაგან. ხოლო ლევანის პირმშობა მაინც ამოცანად რჩება.

იგივე პაპუნა დარეჯანზე ჯვარ-წერას ასრე აღწერს: „წარავლინეს იმერეთად ხოჯაშან ბატონიშვილი და თან აახლნეს ნინოწმინდელი საბა ეპისკოპოსი და ითხოვეს ქალი დადიანისა დარეჯან მეფის ერეკლესთვის. წამოიყვანეს სახლით ალექსანდრესით და მოიყვანეს სურამს. ქალაქიდამ წაბძანდა მეფე ერეკლე. თან გაჰყვა კათოლიკოსი ანტონი. მიბრძანდნენ სურამს. ნახა ქალი მეფემ, დიდად მოეწონა მშვენიერება მისი და წამოიყვანეს ლხინ-მრავლობით და ჩამობრძანდნენ ქალაქს. მზა ექმნა რიგი ქორწილისა მეფეს თეიმურაზს მტკვრის პირს, შვენიერი და შემკული ყოელით კერძო. იყო შვიდს დღეს და ღამეს შვება და განცხრომა უზომო, რომ ერთი ამისთანა სიხარული არ გვენახა. დაპატიჟებულნი იყვნენ: განჯის ხანი, ერევნისა და აჯიჩალაბის ძმის წული. მოვიდნენ, მოართვეს მოსართმევი, ხელმწიფეთა საკადრი. მცირედთა ხანთა ალხინმრავლნეს. უბოძეს მეფეთა ჩვენთაც საფერად თვისად და დაითხოვნეს.“

გენერალი პოტემკინი, რომელიც 1784 წ. საქართველოში იყო, სწერს (ბუტკოვი, ტ. II, გვ. 156), რომ დარეჯან დედოფალი პირველ ხანს სამეფო საქმეებში არაფერ მონაწილეობას არ იღებდაო. მაგრამ, როდესაც ვაჟები წამოეზარდნენ და ქალები დააბინავა და მიათხოვა საქართველოს უწარჩინებულესს ბატონებსაო, ხამეფო საქმეშიაც ჩაერიაო (დაახლოვებით 1779 წლიდამ). დარეჯანის გავლენა ისეთი ძლიერი შეიქმნაო, რომ მის დაუკითხავად სახელმწიფოს არც ერთი საქმე სისრულეში არ მოდიოდაო, თვით ერეკლე მას დიდად ენდობოდაო. დარეჯანი 1784 წელს იყო 45 წლისაო. შეხედულობა და გამომეტყველობა ჰქონდა მრისხანე. შემდეგში მან ფრიად შეიძულა თვისი გერი შვილი გიორგი, რომელთანაც მწყრალად იყოვო. ერეკლეს შემდეგ საქართველოს ტახტს თავის შვილს იულონს უმზადებდაო.

იგივე პოტემკინი ერეკლეს შესახებ სწერს: ერეკლე შუა ტანისაა, ცხარე ხასიათისაო. თვალის გამომეტყველობა აქვს კეირცხლი, არწივისებური. ყოველ მოსაუბრეს შუბლ შეკრული, შეჭმუხვნილი აცქერდება. ეს, ალბად, იმიტომ, რომ გამოიცნოს მოსაუბრეს გულის ნადები, იგი თუმცა 62 წლისაა, მაგრამ მოხუცებულობისა გამო ცოტათი ტანში წახრილია. ერეკლე ერთი იმ კაცთაგანია, რომელთაც ყველაზე მომეტებულად შეუძლიანთ ისეთი პასუხი მისცენ კაცს, რომ ერთსა და იმავე დროს ჰოც გამოდიოდეს და არაც. დიდის ჭკუის პატრონი არის. სამაგალითო მოთმინება იცის. სამაგალითო სიმხნევე აქვს. მთელი ღამე ფხიზლობს და მარტოდ წარმართავს თავის სამეფოს საქმეებს. სძინავს ცოტა. აზიის პოლიტიკაში ფრიად გამოცდილია; ელტვის, რომ თვისი ხალხი ევროპიულ წესზედ მოაწყოს, გაანათლოს. ღვთის-მოსავია ისრე, რომ ყოველ დღე ღვთის-მსახურებას ისმენს. თავის სასაქმო და სამუშაო ოთახში ორ-ორი საათი ლოცულობს ხოლმე. როცა ლოცვაზე დგას, მის ყურადღებას ვერავითარი შემთხვევა ველარ მიიზიდავს და მიიპყრობს.

ერეკლეს მემკვიდრე გიორგი ტანადია, მაგრამ მამასავით გამჭრიახი არ არის. შეხედულობა აქვს მშვიდობიანი. გულ-ახდილი კაცია. საღმრთო წერილში ფრიად ნაკითხია. მეტისმეტად ღვთის მოსავია, რის გამო იგი გარემოცულია სამღვდელო პირთაგან. სხვა გვარი სწავლა და ცოდნა არავითარი არა აქვს. სამხრო საქმეებზე ფრიად ზანტია (ძმიმეა), შვიდობის მოყვარეა და კეთილ-განწყობილობის მოწადინეა. დედინაცვალს არ უყვარს, რის გამო სამეფო საქმეებში მონაწილეობას არ იღებს. იგი 35 წლისაა. ცოლად ჰყავს ანდრონიკაშვილის ასული ქეთევან *). მისი უფ-

*) ქეთევანი იყო ქიზიყის მოურავის პაპუნა ორბელიანის ასული. გიორგიმ ამ ქალზე ჯვარი დაიწერა 1767 წ. მაშინ ქეთევანი 13 წლისა იყო. 1778 წელს ეს ქეთევანი ქალაქიდამ ქართლს მიდიოდა. თან ახლდნენ 300 ცხენოსანნი. ლართის-კარის ვიწროებში მას დაეცნენ 500 ლეკნი. ქეთევანი არ შე-

ნახევარი მაინც დამიბრუნოსო. მივიდა თუ არა, გორდეზიანმა ჩააბარა თავის ქისა ორმოცის მანათიანურთ და ერთი გროშიც არ მოუთხოვია საპოვნელა.

ქაიხოსრო გელოვანი

## წერილი გურჯაანიდამ

ს. მოსამართლეების არჩევანები; ამინდი და მოსავალი.

21 აპრილს, შაბათ დღეს, სოფ. გურჯაანში არჩევანი იყო ვეჯინის და გურჯაანის სოფლის მოხელეთა; ამისათვის შეკრებილი იყო მთელი საზოგადოება ორთავე სოფლისა. საზოგადოებათ ეტყობოდათ ცხადად გულს მოდგინეობა და მეცადინეობა აღნიშნულის საქმისათვის: ირეოდნენ ჭიანჭველებსავით და ფუტკრის გუნდის ჩუმ ბზუილსავით მოისმოდა გუგუნი ხალხის მითქმა-მოთქმისა, რომელიც ხან ძლიერდებოდა, ხან სუსტდებოდა. საზოგადოების დამსწრე წევრთა სიების შემოწმების შემდეგ დაწყებულ იქმნა არჩევანი. ჯვარ-სახარებაზედ დაფიცების წინ ბ-ნმა სიღნაღის მაზრის უფროსმა უთხრა ორივე საზოგადოებას შემდეგი სიტყვა: „ეხლა თქვენ უნდა დაიფიცოთ ჯვარ-სახარებაზედ და შეუდგეთ თქვენის მოსამართლეების არჩევასა. მარტო ფიცმა უნდა გაფიქრებინოთ, როგორ უნდა მოიქცეთ და როგორ არა: ფიცი გატეხილი იქნება წინაშე ღვთისა, თუ ულირსს კაცებს ამოირჩევთ მოსამართლეებად. აბა, იფიქრეთ, ჯერ ცალიერ სიტყვის გატეხა რა არის კაცისათვის და მერე ფიცის გატეხა ღმერთთან რა უნდა იყოს! კარგი მოსამართლე სოფლისათვის წინამძღვარია სიკეთისაკენ; მოსამართლეებს ხშირად დაუღუპავთ თავისი ერი და სახელი გაუტეხიათ. თვით იესო ქრისტე ჯვარს აცვეს მოხელეებმა-მოსამართლეებმა ურიებისამ და არა ხალხმა. დღეს დაამტკიცებთ სინიდისიანის კაცების არჩევით, რომ თქვენ კარგი საზოგადოება ხართ: უჭირო საზოგადოება უჭირო მოსამართლეს აირჩევს, ხეირიანი ხეირიანსა. დიდი მოწყალება არის თქვენთვის, რომ თქვენს მოსამართლეებს თქვენვე ირჩევთ, და ეს ასეც უნდა იყოს: თქვენ უკეთ იცნობთ თქვენს გულ შემატკიევარ კაცსა, ვიდრე უცხოელი, და ვინც ასარჩევია მოსამართლედ. დაივიწყეთ ნათესაობა, მეგობრობა და მეზობლობა ამ ხანად და მიუკერძოებლად აირჩიეთ თქვენში უკეთესი კაცნი მოსამართლეებად“...

საზოგადოებათა დაფიცების დაწყებისას მღვდ. პ. კარბელაშვილმა წარმოსთქვა სიტყვა და სთქვა სხვათა შორის:

„კარგი მოსამართლეები თქვენ სწორე გზაზე, სიმართლეზე გატარებენ და ღმერთთან დაგაახლოვებენ; ავი მოსამართლეები-კი ღმერთს დაგაშორებენ და წაგწყმენდნენ. ამისათვის კარგის მოსამართლეების არჩევა დღეს ყველასათვის სანატრელია და სასიამოვნო ღვთისათვისა და ხელმწიფისათვის. ვაი ავ-მოსამართლეს და მის ამრჩევ საზოგადოებას! ქება-დიდება კარგ მოსამართლეს და მის ამრჩევ საზოგადოებას! მაშ ღმერთმა აკურთხოს თქვენი არჩევანი! აკურთხოს ღმერთმა თქვენი მოსამართლეებიც, ვისაც დღეს ამოირჩევთ“!.. დაიწყო არჩევანები. აღმოჩნდა რომ მამასახლისად სოფ. გურჯაანში ოთხი, თუ ხუთი იყო გამზადებული და საქმეც გაჩარხული ჰქონდათ, მაგრამ დახვე მათ უიღბლობას: ინსტინქტმა სიმართლის სიყვარულისამ მათი ცდა თურმე ჩაშალა და ისევ ძველი მამასახლისი, გიგა ზარდიაშვილი, იქმნა არჩეული, ახალგაზდა კაცი, გურჯაანის სასოფლო სკოლაში ნასწავლი. ეხლა ერთი ალიაქოთი აქვთ გაბმული სამამასახლისოდ გამზადებულებს — „ეს როგორ მოხდა, აკი მთელი ხალხი ჩვენ გვირჩევდაო“, და გაშტერებულები იფშვნეტენ ხელებს.

—

წინა მხარში მშვენიერი ამინდებია; ამის ათვის ნახნავ-ნათესის მოსავალს კარგს უნდა მოველოდეთ, თუ დღეის შემდეგაც ხელი შეუწყო ცამ. ვენახები შემუშავდა, ნაკლებ უჩანს ყურძენი, უფრო „საფერავს“; ძალიან ასხია „მწვანეს“ და „კუმსსა.“ ნაცრის ნიშნები და ობისა“ (მილდიუ) აქაიქა იჩენს თავსა. მეტად უჭირს წინამხრის ვენახებს წამლობა და მისი ხელმძღვანელნი.

პური აკლია ხალხს და ფასობს კოდი 3 მან. და 50 კაპ. 4 მანათამდის; უფრო სიმინდით და ფეტვით მიდის იოლად. ვაჭრობა, აღებ მიცემა შეფერხებულია. ვაჭრები უჩივიან ქესატობას (ზოგი ამ ზაფხულს ნახონ). ქურდობისა აღარსად რა ისმის წინამხარშ.

ცხვილოელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ვიღაც მოგზაური, გაზ. „Кіевское Слово“-ს კორესპონდენტი, ფრიად საყურადღებო ცნობებსა სწერს ამ გაზეთს სტამბოლიდგან ოსმალეთის სულთანის აბდულ-ჰამიდის შესახებ. ამ კორესპონდენტის სიტყვით,

აბდულ-ჰამიდი ფრიად კეთილი, უხვი, ბრძენი და სამართლიანი ხელმწიფეა. სტამბოლის გაზეთებს რომ გადაავლოთ თვალი, თითქმის ყოველ დღე შეჰხვდებით იმის ამბავს, რომ სულთანმა ამა-და-ამ საქველ-მოქმედო საქმეს შესწირა თავისი საკუთარი ფული და სხვ. ამას წინად ამ ოსმალთა მბრძანებელმა გამოსცა ბრძანება, რომ ააგოთ ახალი დაუძლურებულ მოხუცთა თავ-შესაფარი, ბუშთა თავშესაფარი, ქსენონები და აგრეთვე თავ-შესაფარივე გლახა-საწყალთათვის, რომლებიც პოლიციამ უნდა დააპატიმროს და ხაზინამ უპატრონოს თავისის ხარჯით. ამ შენობებთან აგებული იქნება, სულთანის ბრძანებით, მეჩეთი, ეკკლესია და თორა, რათა ყველას, სარწმუნოების განურჩევლად, შეეძლოს ღვთის მიმართ ლოცვა და ვედრება. როგორც უფროსს ისლამისა, სულთანს ჩვეულებით აღკრძალული აქვს ლაპარაკი, ოსმალურს გარდა, სხვა რომელსამე ენაზედ, ამიტომაც უცხო ქვეყნებთან ბაასის დროს სულთანს თან ახლავს თარჯიმანი, თუმცა აბდულ-ჰამიდმა მშვენივრად იცის როგორც ფრანგული, აგრეთვე გერმანული ენა. საზღვარ-გარეთის გაზეთებს იგი თითონვე კითხულობს. ყველა, ვისაც-კი ჰღირსებია ამ ოსმალთა მბრძანებლის ხილვა, აღტაცებაშია მოსული იმის აღერსიანობით, თუმცა ქუჩაზედ-კი სულ სხვა სახით გამოდის: ყოველთვის წარბშეკრულია და მოხუშული და ამ მხრით ოსმალეთის წესსა და ჩვეულებას არ არღვევს. ამის წინა-მოადგილეს, სამრალო მურად მე-V, ოსმალთა ერი უსაყვედურებდა, რომ ხალხში გამოსვლის დროს ისევე იღიმება, როგორც უბრალო მომაკვდავიო.

ახლანდელი სულთანი ოსმალეთისა ყოველთვის ჰზრუნავს თავისის ქვეყნის კეთილ-დღეობისათვის და დღე მუდამ ბაასობს და თათბირობს ევროპის ყველა სწავლულთანა და სახელმწიფო კაცთან. ოსმალები მარტო თავის სახელმწიფოსა სთვლიან აზიურ ქვეყნად, დანარჩენს სახელმწიფოს ევროპიადა სთვლიან. ვინც უნდა უცხო ქვეყნელი მივიდეს ოსმალეთში, სულთანს მაშინვე აცნობებენ ხოლმე და მათ შორის ურევია რომელიმე ცნობილი სწავლული, სახელმწიფო კაცი, საპოლიტიკო მოღვაწე, მხატვარი, ან არტისტი, მაშინვე მოიწვევენ ხოლმე სასახლეში აბდულ-ჰამიდთან სადილად.

სახელმწიფო საქმეთავის ისე ჰზრუნავს ოსმალთა მბრძანებელი, რომ ნაბრძანები აქვს, ყოველივე საკამათო საქმე მომახსენეთ ხოლმეო. ტყუილად ეცდება საქმის გარიგებას მტყუანი, თუნდა ქრთამის შემწეობით, სამინისტროში იმართლოს თავი და მინისტრთა საბჭოშიაც-კი მოიგოს ნაცნობობისა და ნათესაობის წყალობით. ყოველ საქმეს სულთანი თითონვე სინჯავს და თუ შენიშნა რამე, უკანვე აბრუნებს. ყოველ დღე აბდულ-ჰამიდი მთელს საათებს უნდება ლაპარაკს დიდ ვეზირთანა და სხვა მინისტრებთანა და ფაშებთან.

ეს ცნობა კორესპონდენტისა განსაკუთრებით მით არის საყურადღებო, რომ აშკარად ამტკიცებს, ოსმალებიც თანდათან სტოვებენ სხვა სარწმუნოების მიმდევართა მოძულეობას, რაც, ენგელსის აზრით „მხოლოდ კულტურით დაქვეითებულ ქვეყნებშია შესაძლებელი და ან სხვა ქვეყნების იმ მკვიდრთა შორის, რომელიც გაუნათლებელია და ცუდად მოაზრე“.

**

მართლაც და, ნუ თუ საკვირველი არ არის, რომ სულთანი გლახათა და საპყართათვის რამდენსამე თავ-შესაფარს აშენებს, სახელმწიფოს ხარჯით ასაზრდოებს ხელ-მოკლეთ და ამასთან იქავე აგებს მეჩეთსა, ეკკლესიასა და თორას, რათა ყველას, სარწმუნოების განურჩევლად, შეეძლოს თავის ენასა და თავის წესზედ ღვთის მიმართ ლოცვა და ვედრება, ვიმეორებთ, ნუ თუ საკვირველი არ არის ეს ამბავი მაშინ, როცა რუსეთის გაზ. „Гражданинъ“-ი ჰქადაგებს, რომ

საჭიროა და ფრიად საჭიროც გამოირკვეს, ერთს ებრაელს მაინც უნდა მიეცეს თუ არა ნება სატახტო ქალაქების უმაღლესს სასწავლებელში სწავლის მიღებისაო! ჩვენის აზრით კი, არც ერთს არ უნდა მიეცეს, არა და არა...

ტყუილად კი არა ჰბრძანებს ჩვენი იესო ქრისტე, წინანანი უკან და უკანანი წინაო!... სანუგეშო ის

---

როსი შვილი დავითი 17 წლისაა, უაღრესად ფიცხი, გამჭრიახი, ვაჟკაცი და უნარიანი ომში. (პლატონ იოსელიანის სიტყვით, გიორგი 1785 წლიდამ სიმსუქნეში შევიდა, გასქელდა ისე, რომ ცხენზე ველარა ჯდებოდა თავისუფლად. მოთხოვნილებისა გამო გვამისა, მიიღებდა სანოვაგესა მრავლად. მისმა ჭამამ გააკვირვა თვით არტემ არარატელიც-კი). იულონი 22 წლისაა, გულ-ჩათხრობილი, კეთილ-შობილური და მიმზიდველი შეხედულობა აქვს. გიორგიზე გონება-გამჭრიახი არ არის.

აქვე მოგვყავს ზოგიერთი ცნობა მეფის ძე ლევანზე. 1771 წელს ლევანი და ანტონი კათოლიკოსი შემწეობის სათხოვნელად წარგზავნილ იქმნენ რუსეთს და 1772 წელს მიაღწიეს პეტერბურგს. უკან დაბრუნება მოუხდათ 1774 წელს. ერეკლეს მოებოძა ანდრიას ორდენი, ხოლო ლევანს ანნასი. ლევანი ფრიად ვაჟკაცი კაცი იყო, ომის საქმეების მცოდნე. ბუტკოვი ამბობს, რომ მორიგე ჯარი ერეკლემ ლევანის რჩევით დაადგინაო. ლევანი მუდამ მამას თან მიჰყვებოდა საომრად და ხშირად-კი თვითონ მარტო მიუძღვებოდა ლაშქარს და მტერს მუსრს ადენდა.

ლევანზე ორიოდე ცნობა მოყვანილია „Крестьян. грамоты“-ში. 1780 წელს ლევანი სწერს მდივან მანუჩარს: „მამუკა ხიდირბეგლაშვილს გამოვატანე შენთან წერილი. ვგონებ, კიდეც ყოველივე, რაცა გთხოვე, გამოგზავნილი გექნება. თუ-კი არ გამოგიგზავნია, დააჩქარე მისი გამოგზავნა. თუ მე აქ დიდხანს დავშთები და ეს შენ იცი, ჩემს წითელ ყუთს ნუ გამომიგზავნი, თუ-კი მალე დამაბრუნებენ, გამოგზავნე, ჰკითხე მეფეს, კიდევ დიდხანს მომიხდება აქ დგომა“. 1780 წ. ლევანი მანუჩარსვე სწერს: „დღეს, ოთხშაბათს, ბოლნისში მივდივართ. შინ ზოგი რამ დაგერჩა. გამოგზავნე. დანიშნულ დღისთვის ბოლნისის ხალხი-მოხუცნი და ახალგაზდანი-ყველანი გამოიყვანე. ეს საძაგელი გურგენა აქამდის არ მოვიდა და ყალიონი არ მომიტანა!“ 1780 წ. ლევანი მანუჩარს: „თუ მართლაც გიყვარვარ, შეეცადე ჩვენი სასახლის აგების დამთავრებას, სწორედ ისრე, როგორც მე გითხარ. თუ სახსარი გაკლია, თავი დაიგირავე, სასახლე-კი უსათუოდ დაამთავრე“.—1780 წ. ლევანი მანუჩარს: „მეფეს უბრძანებია ჩემი აქ დაშთენა. მაგრამ ჩემი აქ ყოფნა საჭირო არ არის. შენ იცი, მე რა საქმეებიცა მაქვს ქსოვრისა და არაგვის ხეობაში. შიო მოლარეთ ხუცესსა და ჩემს სიძეს დავით სარდარსაც წერილი მივწერე. უკანასკნელს უთხარი, რომ მეც კაცი ვარ, რომ მეც მაბადია სისხლი და ხორცი. მიშველოს და მეც რასმიმე შევეწევი“. თვით ხალხში დაშთენილი ლექსი ასე ამკობს ლევანს:

ხმალი სჭრის ბაგრატოვნისა, მეფისა ერეკლისაო;
ნეტავი გამაცნობინა, ლევანს უქებენ შვილსაო.
აჯობა თავის მამასა, სანამ იცვლიდა კბილსაო,
ურჯულო გამოამტყრია, როგორც ნაპირი ტყისაო.
თუ ლევან იქით მიბრუნდა, საქმე სჭირს დაღისტნისაო.

ხოლო პოეტი ლევანს ასე მიჰმართავს:

მეფისა დროშით სად მიხვალ,
ჰე, ლევან, სულით ნათელო!
შენ მხოლოდ მამის იმედო,
უდროოდ მზე დაბნელებულო.
შეირყა ტახტი მეფისა,
რა შთახვედ საფლავს ლომგულო!

ლევანი მოკლულ, თუ მოწამლულ იქმნა 1782 წელს*).

დიალ უდროოდ გარდაიცვალა ბატონიშვილი ლევან, რომლის სიკვდილის ამბავი რომ მიუვიდა ახალციხის ფაშა სულეიმანს, საქართველოს დიდ მტერს, სთქვა: ერეკლეს მარჯვენა მკლავი მოეჭრა. ქვეყნის ერთად ერთი საფარველი და ნუგეში გარდაიცვალა. ეხლა-კი საქართველო დაიღუპებაო.

თვით მეფე თეიმურაზს ორი ცოლი ჰყვანდა. პირველ ცოლ თამარზე ცნობები ზევით მოვიყვანეთ. მეორე ცოლი-კი იყო ანახანუმ.

ამ ქორწინების შესახებ ვახუშტი სწერს: 1746 წ. მოკვდა დედოფალი თამარ, მეფის ვახტანგის ქალი, და თეიმურაზმა 15 დღის ქვრივობის შემდეგ შეირთო ქვრივი ქაიხოსრო ციციშვილისა ბეჟან თაქალთიანის ქალი“. პაპუნა ორბელიანი ანახანუმს უწოდებს ბეჟან იოთამის შვილის ასულად. იგი ამბობს: „მეფემან თეიმურაზ მოიწონა და თვისად მეუღლედ და დედოფლად ქართლისად ანახანუმ, ასული ბეჟან იოთამისშვილისა, რომელი ნათესაობდა მეფეს იასეს (ეს იყო ვახტანგ მეფის ძმა) დედი-და-შვილობითა“. პაპუნას სიტყვით ანახანუმი ფრიად მშვენიერი ყოფილა, ამასთანავე კარგად აღზრდილი და ნასწავლი. ანტონი კათოლიკოსი ანახანუმის ახლო ნათესავი იყო, ამიტომ ეს ქალი ქორწილის წინად პატრიარქისას სცხოვრებდა.

თეიმურაზის შეუღლებასა და ქორწილს პაპუნა ასე აღწერს:

„მიბძანდა მეფე, ვითა ქორწილის წესი იყო, და წამოიყვანა პატრიარქის სახლით სახლსა დალიჰოვანსა. ჰკრეს ქოსთა, ნაღარათა და სპილენძ ჭურთა. მორთვნეს ქალაქნი. და უმეტეს სამყოფი მეფისა მოფარდაგნეს ოქსინოთა ოქრო-ქსოვილითა. და მოაბრწყინვეს ყოველი ლამპრითა საბრწყინვალოთა. ისხდნენ მგოსანნი და აქებდნენ მეფეთ მეფეს თეიმურაზს. იყო ლხინი და განცხრომა დღესა რვასა და იყვნენ ქართველნი მწად ქართულთა ლხინთა გამოჩენისათვის. იყვნეს ყიზილბაშნიცა წვეულნი: ხანები, ათასის თავნი და მოხელენი ხელმწიფისანი და მოსწონდათ ყოველი რიგი და ლხინი ქართლისა. განსრულდა ქორწილი აგვისტოს“.

ანახანუმისაგან თეიმურაზს მიეცა ვაჟი სოლომონ, რომელიც დაიბადა 24 მაისს 1747 წელს და, პაპუნასავე სიტყვით, დამარცხდა (მოკვდა) ივლისის 18-ს 1748 წელს.

ანახანუმი რომ მოიყვანა თეიმურაზმა, ცოტა არ იყოს იწყინა ერეკლემ, რადგან მის დედის გარდაცვალებიდამ ჯერ 40 დღეც არ გასულიყო. პირველ ხანში დედი-ნაცვალი არც-კი ინახულა ერეკლემ. თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ ანახანუმი ტფილისში სცხოვრობდა, მოლოზნად შესდგა ნათლისმცემლის ეკკლესიაში. გარდაიცვალა 1788 წელს.

---

შინდა. თვით წარუძღვა თვის ამალას, ლეკებზე იერიში მიიტანა, დაამარცხა იგინი და მშვიდობით ჩავიდა მუხრანს. ერეკლეს ეს ამბავი ფრიად იამა და დაბრუნებისას დიდის ზეიმით მიიღო რძალი. ქვეყანის ქალაქში შემობრძანებისას ზარბაზნები დაცალეს, ტფილისი გაალამაზეს და იდღესასწაულეს.

*) ბუტკოვი და ზოგიერთნი ამბობენ სარეცელი შეუგინეს და მოკლესო. ზოგნი-კი ცოლმა მოწამლაო.

მაინც არის, რომ რუსეთში ბევრი არ ეთანხმება „Гражданинъ“-ის ამ უგბილო და არა საკადრისს აზრს...

## წვრილი ამბები

ხმა არის, რომ ბისმარკი მემუარებს სწერს თავის წარსულის მოღვაწეობის შესახებ. ინგლისელი და ამერიკელი წიგნის ბეჭდვის საზოგადოებანი აუარებელ ჯილდოს პირდებიან თურმე ბისმარკს, ნება მოგვეცი შენი მემუარები დავბეჭდოთო, მაგრამ გამოცდილი პოლიტიკური მოღვაწე არ ეთანხმება, ამბობს, ჯერ ჩემ ნაწერების გამოცხადება დიდს ქარიშხალს ასტეხს და საშიშარიაო.

— ინგლისის დედოფალს ვიქტორიას უდღესასწაულნია თავის სამოც-და თერთმეტის წლის ხნოვანება. ევროპის ხელმწიფეთა შორის ინგლისის დედოფალზე მხოლოდ ორია ხნიერი, ე. ი. პაპი ლეონ XIII ოთხმოც-და-ერთის წლისა და ჰოლლანდიის მეფე სამოც-და-ცამეტის. შემდეგ ამათ მოჰყვებიან: ვირტემბერგის მეფე სამოც-და-შვიდის წლისა, საკსონიის მეფე სამოც-და-ორის წლის, შვეციისა და ნორვეგიის — სამოც-და-ერთის წ., ავსტრიის იმპერატორი ორმოც-და-ცხრამეტის წლისა, ბელგიის მეფე ორმოც-და-ხუთმეტის წ., ოსმალეთის ხონთქარი ორმოც-და-ექვსის, საბერძნეთის მეფე ორმოც-და-ოთხის, ბავარიის პრინცი-რეგენტი ორმოც-და-სამის, გერმანიის იმპერატორი ოც-და-თერთმეტის, პორტუგალიის მეფე ოც-და-ექვსის, სერბიის მეფე ცამეტის წლისა, და ყველაზე უმცროსია ისპანიის მეფე ოთხის წლისა.

— ჩინეთის იმპერატორმა წაიყვანა ხუთმეტი ათასი კაცი ამალა და წავიდა თავის წინაპარ იმპერატორების საფლავთა სალოცავად.

— 17 (30) მაისს მთელს ევროპაში, აზიაში (აღმოსავლეთ აზიის გარდა) და აფრიკაში ეკვატორამდის მზის დაბნელება იქნება.

— ჩრდილო ამერიკაში გერმანულ ენაზე 787 ჟურნალ-გაზეთი გამოდის ყოველ წლივ (მათ შორის 585 საკვირაო და 91 ყოველ დღიური), ფრანგულ ენაზე 46 (სამი ყოველ დღიური გაზეთი), ისპანიურ ენაზე 38, ჩეხურზე 24, ჰოლლანდიურზე 13, ამდენივე პოლშურსა და იტალიანურ ენაზე, ოთხი ფინურ ენაზე, ორი პორტუგალურზე, 2 სლოვენურზე, 2 ისლანდურზე, 2 ჩინურზე და თითო რუსულსა, ვენგრიულსა, სომხურსა და ბერძნულ ენებზე.

— ნიუიორკიდამ იწერებიან, რომ ჩრდილო ამერიკის შტატის ოგაიოს ერთს პატარა ქალაქში მეხი დაეცა დინამიტის საწყობსაო. დინამიტმა მაშინვე იფეთქა, საწყობი ზეცას აისროლა და მტვერივით გაჰფანტა და ოც-და-შვიდი კაცი იმსხვერპლაო.

— ამას წინად პარიჟში ეიფელის ცისკენ მეხი ზედი-ზედ სამჯერ დასცემია და ორჯელ საშინლად შეურყევია, მაგრამ, როგორც შემდეგ გასინჯვით აღმოჩნდა, მეხის ასაცილებელ მაშინას იმ ნაირად გაუნელებია ელვის ძლიერება, რომ კოშკს არა წახდენია-რა.

— სამხრეთ ამერიკაში ურუგვაის სატახტო ქალაქს მონტევიდეოსა და არგენტინის რესპუბლიკის სატახტო ქალაქს ბუენოს-აირესს შორის ელექტრონის ფოსტა უნდათ გამართონ. ფოსტა ამ ნაირად იქნება მოწყობილი. წვრილებს ჩასდებენ პატარა უჯრებში და უჯრები წასრიალდება ელექტრონის მავთულზე. ამ ფოსტას სამას სამოც-და-თექვსმეტი ვერსი ექნება სასიარულო და ამ მანძილის გარბენას მხოლოდ ორ საათს მოანდომებს, ე. ი. წუთში სამ-სამ ვერსს.

— ამ ჟამად იაპონიაში ხუთი ელექტრონის მწარმოებელი ამხანაგობაა თურმე, რომელსაცა აქვს ელექტრონის სადგურები ტოკიოში, კიოტოში, კობეში, ოსაკში და ნაღოიში. ამ სადგურებიდამ მაღაზიები და კერძო სახლები სულ იაფფასად უიდულობენ ელექტრონის სინათლეს. მიკადოს თურმე ნება დაურთავს ახლა, რომ ათი სხვა კამპანია კიდევ დაარსდესო; ამ ახალ ამხანაგობათ განზრახვა აქვს ელექტრონის სადგურები ნაგასაკში, თოკაგამში, კუმამოტოში და სხვა ქალაქებშიაც გამართოს. ეს ამბავი მით უფრო საკვირველია, რომ ამ აზიის ქვეყანაში პირველი ამხანაგობა მხოლოდ 1886 წელს დაარსდა.

— ინგლისის ჯარი. ინგლისს ჰყავს ამ ჟამად 210,298 ჯარის-კაცი; ამათგან თვით ინგლისში 76,100 კაცია (ლონდონში 8,300 კაცი ყოფილა) შოტლანდიაში 3,900, ირლანდიაში 28,000, ინდოეთში 72,000, ეგვიპტეში 4,200, გიბრალტარში 3,200, სამხრეთ აფრიკაში 3,200 და დანარჩენი სხვა ქვეყნებში.

### პეტერბურგის ბირჟა, 25 მაისი.

| | მყიდველნი. | გამყიდველ-ნი. | გარიგება. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | „ | 6 88 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 138¼ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1, 08¼ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 231¼ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 213¾ |
| —მესამისა . . . | 212 | — „ | 211½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბთობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.


## განცხადებანი

წარმომადგენლებს
ეძებს პირველ-ხარისხოვანი სავაჭრო სახლი
ღვინისა
Paloquer; 38, Cours St.-Jean
ბორდო
(საფრანგეთი)
(2—2)

გამოვიდა და ისყიდება
გოლოვინის პროსპექტზე, როტინოვის სახლებში, ზ. ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში და წერა-კითხვის სამართველოში
უცხოეთის მწერლები
პრუდონი
გამოცემული
გიგო თოიძისაგან
ფასი 20 კაპეიკი
(3—3)

გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:
ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,
შედგენილი
მოსე ჯანაშვილის-მიერ.
ფასი წიგნისა 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:
გორკილი
დრამა ოთხს მოქმედებად
თხზულება
ა. ი. სუმბათაშვილისა
თარგმანი ა. შ. ახნაზაროვისა
დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.
ფასი 40 კაპ.

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა
ჟურნალ „ნობათი“-ს
ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი», — სულ თერთმეტი წიგნი ღირს
2 მან.
ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“
პატარა კახი
ისტორიული ხუთ მოქმედებიანი დრამა ლექსად
აკაკისა
ფასი 50 კაპ.


ტფილისის გამოფენა


ვარშავისა.


ოდესისა.

# ЗАВОДЪ
## МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
# А. А. ТУТАЕВА

Принимаются **постройки, ремонты** и **окраски домовъ, крышъ, фасадовъ, мостовъ, тумбъ и будокъ** на шоссейныхъ дорогахъ. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія, масляныя и сухія **краски, кисти, масла** и проч. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже солдатскаго базара.

ვყიდი ყოველნაირს ლიტო-ტიპოგრაფიის და ზეთით გალესილს და მშრალს კრასკებს, ზეთს, კისტებს და სხ. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (Ремонтъ) და შეღებვას ხრეშ დაყრილ გზებზე ხიდებისას, ბუდკებისას და ბოძებისას. შემიძლიან გავგზავნო კრასკები ყველგან, მოთხოვნილობისამებრ. ქარხანა მაქვს იარმუკაზე, საეკკლესიო დუქნებში.

ა. თუთაევი

24—1

კერძო ექიმი
პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნერვების სნეულებას, ნერვების ქარსა და კონტრაქტურას (გაშვების ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8 მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად.

(10—1)

სასტუმრო
„პურ-ღვინო“
(გოლოვინის პროსპექტზედ, თ. მუხრან-ბატონის სახლებში, კლუბის ქვეშ)

მუდამ დღე მზადდება ყოველ გვარი, ადგილობრივსა და ევროპიულს გემოვნებაზედ გაკეთებული, საჭმელი.

იმერულსა და გურულს საჭმელებს ამზადებს საგანგებოდ გურიიდგან მოწვეული მზარეული.

ორი თავი საჭმელი ღირს თვიურად 12 მანათი. მსურველთ სახლებშიაც ვუგზავნით.

სასმელები: გვაქვს ყოველ ნაირი ღვინო მუხრან-ბატონისა (იმისივე შამპანური ღვინო), კახური ღვინოები საუკეთესო ფირმებიდგან ბოთლი ორ აბაზიდამ, ვიდრე მანეთ ნახევრამდე.

ლუდები (პივო) ყველა ადგილობრივის ქარხნისა, აგრეთვე ადესისა და ჟიგულევსკის ქარხნებიდამ. ყოველ გვარი ტკბილი სასმელი (ლიკიორები) და საზღვარ-გარეთის ღვინოები.

სასტუმროში გამართული გვაქვს განსაკუთრებული საოჯახო ოთახები ცალკე კაბინეთები).

მოგვდის, ადგილობრივს გარდა, სატახტო ქალაქების ზოგი ჟურნალ-გაზეთიც.

ცალკე გამართული გვაქვს ფრანგული და რუსული ბილიარდები*). გვაქვს აგრეთვე ნარდი და ჭადრაკი (შახმატი).

სასტუმროსა აქვს ავეჯით მორთული ოთახები, რომელნიც დღიურად ღირს ათ შაურიდგან მანეთ ნახევრამდე.

ვინც თთვეობით აიღებს, დაეთმობა მთელის ფასის ერთი მესამედი.

სასტუმროს პატრონები: { ი. მამინაიშვილი და ა. თოიძე.

*) რუსული ბილიარდი კავკასიის გამოფენაზე შევიძინეთ. ამ ბილიარდმა პირველი ჯილდო მიიღო.

(25—17)


Доз. ценз. Тифлисъ, 29-го Мая 1890 г. Типо-Литографія К. I. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე